

სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. დუმბაძის შემდეგ საქართველოს არც ერთ სპორტსმენ ქალს არ ჰქონია საერთაშორისო კლასის შედეგი ბადროს ტყორცნაში, მაგრამ მიმდინარე შეჯიბრებაზე ახალგაზრდა ბათუმელმა მძლეოსანმა ლ. ტულუშმა შეძლო შესანიშნავი შედეგის მიღწევა. სურათზე: ლ. ტულუში ბადროს ტყორცნის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ვინ გადავა „ა" კლასში

5 ნოემბერს თბილისში იწყება „ბ" კლასის ზონებში გამარჯვებული გუნდების ტურნირი ფეხბურთში. პირველ ადგილზე გამოსული კოლექტივი გაისად გადაყვანილ იქნება „ა" კლასში.

ტურნირის მონაწილე 5 პრეტენდენტი უკვე ცნობილია. ესაა არმიელთა გუნდები: ოდესის, ლვოვის, სვერდლოვსკის, ხაბაროვსკის სამხედრო ოლქების სპორტული კლუბებისა და შავი ზღვის ფლოტის სპორტული კლუბის (სევასტოპოლი) კოლექტივები.

მეექვსე პრეტენდენტი გამოირკვევა დღეს. ეს იქნება ან როსტოვის არმიელთა გუნდი, ან ერევნის „სპარტაკი".

## „დინამოს" მეორე მატჩი

თეირანი. 28 ოქტომბერი. როგორც ცნობილია, აქ ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად იმყოფება თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი. მეორე მატჩი თბილისელებს ჰქონდათ ადგილობრივი „შახინის" გუნდთან.

თამაში მოიგო თბილისის „დინამომ" ანგარიშით 2:1.

## ი. კუპერმანი უკვე ჩემპიონია

მთელ მსოფლიოში გახმიანდა, რომ საბჭოთა გროსმაისტერმა ი. კუპერმანმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო სახელი 100-უჯრიან შაშში.

31 ოქტომბერს საღამოს ჰააგაში შედგა მატჩის მე-19 პარტია. ამ გადამწყვეტ პარტიაში ბრძოლა წაიყვანა კუპერმანმა, თუმცა მას ყაიმიც უწყობდა ხელს. ყოველი სვლით სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა, რომ დელორეს ძალზე გაუძნელდებოდა პარტიის გადარჩენა. ასეც მოხდა. დამსწრეთა მქუხარე ტაშის ქვეშ დელორემ დათმო პარტია და კუპერმანს პირველმა მიულოცა მსოფლიო ჩემპიონობა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა გროსმაისტერმა უკვე გაიმარჯვა, მეტოქეები მაინც ჩაატარებენ მატჩის დებულებით გათვალისწინებულ მე-20 პარტიას, მაგრამ მის შედეგს, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. ი. კუპერმანი უკვე მსოფლიო ჩემპიონია.

## ვერნერ ზეელენბინდერის სახელობის ჯილდოზე

ვერნერ ზეელენბინდერის სახელი ფართოდაა ცნობილი მთელს გერმანიაში. იგი იყო არა მარტო შესანიშნავი მოჭიდავე, არამედ ფაშიზმის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი. ამიტომ იყო, რომ 1942 წელს გესტაპომ დააპატიმრა ვ. ზეელენბინდერი, ხოლო 1944 წელს სხვა ანტიფაშისტებთან ერთად იგი მხეცურად იქნა მოკლული ბრანდენბურგის ციხეში. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ შესანიშნავი სპორტსმენის სახელს ატარებენ საუკეთესო სპორტული ნაგებობანი, ხოლო 1948 წლიდან ტარდება ვ. ზეელენბინდერის სახელობის ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ამას წინათ ბერლინში გაიმართა ვ. ზეელენბინდერის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც გერმანელ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ პოლონეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ დაიწყო მოჭიდავეთა გამოსვლები. რამდენიმე შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენმა ს. რიბალკომ (უმჩატესი წონა) მოიპოვა პირველი ადგილი.

წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე ვ. რეკოვი (საშუალო წონა) და მსოფლიო ჩემპიონი რ. აბაშიძე (ქვემძიმე წონა). პირველმა ფინალში დაამარცხა მსოფლიოს პირველობის პრიზიორი ლ. მეტცე, შემდეგ ზ. ნიუფანგი და მოიპოვა პირველი ადგილი.

რ. აბაშიძე შეხვდა გერმანელ ალბრეხტს. უკვე მე-2 წუთზე საბჭოთა სპორტსმენმა ჩაატარა ილეთი, აიტაცა ალბრეხტი, მაგრამ ეს უკანასკნელი ჰაერში შეტრიალდა და თავი დააღწია სუფთა დამარცხებას. ამის შემდეგ ინიციატივა კვლავ მსოფლიო ჩემპიონის მხარეზე იყო და მსაჯებმა მას ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება. დანარჩენ წონით კატეგორიებში პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: გერმანელები ვ. კოხი (მჩატე წონა), ლ. ფიშერი (ქვემსუბუქი წონა), ე. ვესპერი (მსუბუქი წონა), ა. ტიშენდორფი (ქვესაშუალო წონა) და გ. კილჰორნი (მძიმე წონა).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 131 (1301) ○ კვირა, 2 ნოემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.


### საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა მძლეოსნობაში

## ლ. ტულუშის საერთაშორისო შედეგი

გაღროს მტყორცნელ ქალთა პირველობაზე საქართველოს გუნდიდან გამოდიოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე და სპორტის ოსტატი ლ. ტულუში. საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში მათ შესაბამისად აჩვენეს 48,43 და 48,48 მ. ფინალში ნ. დუმბაძემ ავადმყოფობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა, თუმცა მის მიერ ნაჩვენებმა შედეგმა საქართველოს გუნდს ჩასათვლელი ქულების საკმაო რაოდენობა მისცა.

როცა „დინამოს" სტადიონის ჩრდილოეთ სექტორზე დასკვნითი შეჯიბრების მონაწილენი გამოვიდნენ, სხვა ტრიბუნებზე მყოფმა მაყურებლებმა აქეთ გადაინაცვლეს. ყველას სურდა ენახა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა ბრძოლა, მით უმეტეს, რომ მათ შორის იყვნენ ძველი მეტოქეები ნ. პონომარიოვა, ი. ბეგლიაკოვა და სხვანი. უმეტესობა სწორედ ამ ორ სპორტსმენს თვლიდა პირველობის მთავარ პრეტენდენტებად, მაგრამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა ახალგაზრდა ბათუმელმა სპორტსმენმა ლ. ტულუშმა, რომელმაც ერთ-ერთ ცდაზე ბადრო 52 მეტრსა და 53 სანტიმეტრზე ტყორცნა და აჩვენა საერთაშორისო კლასის შედეგი. მხოლოდ ნ. პონომარიოვამ შეძლო უკეთესი შედეგის ჩვენება. მის მიერ ნატყორცნი ბადრო 53,19 მეტრზე დაეცა, რამაც მას პირველი ადგილი მოუტანა. მეორე ადგილზეა ლ. ტულუში. ეს ახალგაზრდა მძლეოსნისა და მწვრთნელის ბეზროდნის დიდი წარმატებაა. ვაჟთა შორის მძლეოსნობის ამ სახეობაში უძლიერესი იყო ლენინგრადელი ვ. ტრუსენოვი (საუკეთესო შედეგი 56,60 მ), რომელმაც უკან ჩამოიტოვა ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგენი, როგორიც არიან ლიტველი ა. ბალტუშნიკასი, სსრ კავშირის რეკორდსმენი ო. გრიგალკა, ვ. ლიახოვი (მოსკოვი) და სხვანი. საქართველოს გუნდის წევრებმა გ. ჩადუნელმა და ო. ზუხბაიამ მეორე თანრიგის შედეგი აჩვენეს და თავიანთ გუნდს ჩასათვლელი ქულები ვერ მისცეს. პირველმა ბადრო ტყორცნა 46,18, ხოლო მეორემ — 44,20 მეტრზე.

შუბის ტყორცნაში ვაჟთა შორის ყველაზე უკეთესი შედეგი (75,66 მ) ჰქონდა ლენინგრადელ ვ. კუზნეცოვს. საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ი. გიგაურმა აჩვენა 66 მეტრი, 47 სანტიმეტრი. ეს შედეგი ახალი რესპუბლიკური რეკორდია.

## ლიდერები იცვლებიან

შეჯიბრების მეოთხე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ „უნივერსალები", როგორც უწოდებენ ათჭიდელებს. ამ დღეს ისინი ხუთჯერ გამოვიდნენ სექტორებზე და ლიდერთა ცვლა სამჯერ მოხდა, თუმცა მაყურებელთაგან არავინ ფიქრობდა, რომ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. კუზნეცოვს (მოსკოვი), რომელმაც პირველად გადალახა 8-ათასიანი ზღვარი სპორტის ამ სახეობაში ვინმე გაუწევდა ღირსეულ მეტოქეობას. მსოფლიოს ყოფილმა რეკორდსმენმა კუზნეცოვმა პირველივე სახეობაში (100 მეტრზე რბენა) აჩვენა, ყველაზე კარგი შედეგი — 10,8 და 78 ქულით გაასწრო ი. ტერ-ოვანესიანს (უკრაინა), რომელმაც მეორე ადგილი მოიპოვა — 11,0. სიგრძეზე ხტომაში ტერ-ოვანესიანი თავის შესაძლებლობასთან შედარებით დაბალი შედეგით (7,45 მ) გამოვიდა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მას ხელთ ეგდო ლიდერობა. კუზნეცოვის შედეგია 7,11 მ.

პროგრამის მესამე სახეობაში — ბირთვის კვრაში, შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა მოსკოველმა ვ. ბუხანცევმა, რომელსაც ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა — 16,23 მ, მაშინ, როცა ტერ-ოვანესიანის შედეგი 13,56 მეტრს არ გასცილებია. კუზნეცოვმა ბირთვი 14,63 მეტრზე ჰკრა და კვლავ წინ გავიდა. სამი სახეობის შემდეგ მას ჰქონდა 2.643 ქულა, ხოლო მის ძირითად კონკურენტს ტერ-ოვანესიანს — 2.580 ქულა.

ბრძოლა ლიდერთა შორის თანდათან მწვავდებოდა. მათ სულ ახლოს მიჰყვებოდნენ ესტონელები უ. პალუ და ბ. ტიიკი, თბილისელი ი. დიაჩკოვი. უკანასკნელ ხანებში ტერ-ოვანესიანმა სიმაღლეზე ხტომაში რამდენიმეჯერ დაძლია 2 მეტრი, ამიტომაც ეჭვს არ იწვევდა მის მიერ ლიდერობის დაბრუნება. კუზნეცოვმა ბრძოლა შეწყვიტა 1,81 მეტრზე. თანდათან გაიცხრილნენ სხვებიც და 184 სმ შემდეგ სექტორს შემორჩა ორი სპორტსმენი — ტერ-ოვანესიანი და თბილისელი პირველთანრიგოსანი ი. დიაჩკოვი. 187 სმ დიაჩკოვმა დაძლია მეორე ცდაზე, ხოლო მისმა მოწინააღმდეგემ — მესამეზე. როცა თამასა კიდევ ორი სანტიმეტრით აწიეს, უკრაინელს მთელი ძალების მობილიზაცია დაჭირდა მის ასაღებად, დიაჩკოვმა ვერ შეძლო თამასის გადალახვა და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

ახლა კუზნეცოვს ოთხი სახეობის შემდეგ მოგროვილი ჰქონდა 3.425 ქულა, რაც 99 ქულით უკეთესი იყო, ვიდრე მის მიერ მსოფლიო რეკორდის დამყარებისას, მაგრამ ლიდერობა მან მაინც ვერ შეინარჩუნა, რადგან კიეველი წინ იყო 55 ქულით.

ამ დღის პროგრამის უკანასკნელი სახეობა იყო რბენა 400 მეტრზე. ისევე, როგორც 100 მეტრზე, აქაც ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა კუზნეცოვმა — 49,7. მას 0,1 წამით ჩამორჩა ესტონელი უ. პალუ, რომელიც 5 სახეობის შემდეგ მტკიცედ დამკვიდრდა მესამე ადგილზე. შეჯიბრების ლიდერს ტერ-ოვანესიანს უპირატესობის შენარჩუნებისათვის დისტანცია უნდა გაერბინა 51,3 წამში.

ტერ-ოვანესიანთან ერთად სტარტი აიღო ი. დიაჩკოვმა. სწორედ მასთან ბრძოლაში შეძლო ტერ-ოვანესიანმა აღნიშნული მანძილის 50 წამში გარბენა. პირველი დღის შემდეგ ტერ-ოვანესიანი წინ იყო 31 ქულით.


(დასასრული მე-8 გვ.)




აქ ალბეჭდილია საქართველოს II სპარტაკიადის სამკერდე ნიშნების ესკიზები, რომლებიც ჩვენი გაზეთის კონკურსზე წარმოადგინა ველოსიპედისტმა ს. პეტროსიანმა.



★

ბირთვის კვრაში ქალთა შორის უძლიერესი იყო ლენინგრადის გუნდის წარმომადგენელი, მსოფლიო რეკორდსმენი გ. ზიბინა. სურათზე: გ. ზიბინა ბირთვის კვრის დროს.

★

# ჩვენი მთავარი ამოცანა

ი. ჩოჩია,
საქართველოს პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობის განყოფილების გამგე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული იმ დიდი როლის შესახებ, რომელიც პროფკავშირებს ეკუთვნის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. ხელმძღვანელობდნენ რა აღნიშნული დადგენილებით, საქართველოს ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მასობრივ-ფიზკულტურული და სასწავლო-სპორტული მუშაობა, რის შედეგად საგრძნობლად განმტკიცდა ფიზკულტურული კოლექტივები, გაუმჯობესდა მშრომელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმე.

საქართველოს პროფკავშირების II და პროფკავშირების VI საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მზადების მნიშვნელოვანი ეტაპია, მიმდინარე წლის სერიოზულ სპორტულ ღონისძიებებს წარმოადგენდა. ჩვენი რესპუბლიკის II საზაფხულო პროფკავშირულმა სპარტაკიადამ დიდებითი როლი ითამაშა ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებაში, რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში 94 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი შეიქმნა, რომლებშიც გაერთიანდა 7.700-მდე კაცი.

ამ საინტერესო სპორტულმა შეჯიბრებამ მრავალი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. სპარტაკიადების მსვლელობის დროს მრავალმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა პირველი თანრიგისა — 187, მეორე თანრიგის—715, ხოლო მესამე თანრიგისა — 2.485-მა კაცმა.

საქართველოს ნაკრებმა გუნდმა და ფიზკულტურის ოთხმა კოლექტივმა 276 სპორტსმენის რაოდენობით, მონაწილეობა მიიღეს საკავშირო პროფკავშირთა VI საზაფხულო სპარტაკიადაში, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. სათანადო მომზადებისა და კარგი ორგანიზებულობის შედეგად ჩვენმა დელეგაციამ დაიკავა მე-5 გუნდური ადგილი. ამასთან, საქართველოს სპორტსმენებმა დაიმსახურეს 7 ოქროს, 4 ვერცხლისა და 19 ბრინჯაოს მედალი. ექვსმა სპორტსმენმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

სპარტაკიადის ჩემპიონობა დაიმსახურეს: მძლეოსნობაში ლ. ანთაძემ, კლასიკურ ჭიდაობაში გ. ჩიტაიშვილმა, მ. ლუდუშაურმა და ა. ქორიძემ, თავისუფალ ჭიდაობაში ჯ. დავლიანიძემ, ცურვაში — ვ. რომანოვმა და ჩოგბურთში — ი. რიაზანოვამ.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა გუნდების კარგად მომზადებისა და სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის პროფსაბჭოს სიგელებით დააჯილდოვა მწვრთნელები იორდანიშვილი, ციციშვილი და ძეკონსკი, ხოლო სპარტაკიადის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობა გამოეცხადათ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ზ. რუხაძეს, პროფკავშირების რესპუბლიკური სპარტაკიადის მთავარ მსაჯს თ. მაჩაბელს, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ნ. სხირტლაძეს, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ბ. პაპაძეს, საქართველოს პროფსაბჭოს უფროს ინსტრუქტორს ი. ვაიმანსა და საქართველოს პროფსაბჭოს უფროს ინსტრუქტორს ვ. ულენტს.

ჩვენი ამოცანაა სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში მოპოვებული მიღწევები შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო განვამტკიცოთ. ამასთან, საჭიროა მოკლე დროში აღმოვფხრათ არსებული ნაკლოვანებანი, რომლებსაც ამჟამად ადგილი აქვს რესპუბლიკის პროფკავშირულ-ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში. ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობის შეუფასებლობის შედეგად მთელ რიგ საწარმოთა, დაწესებულებათა და სპეციალური სასწავლებლების ფიზკულტურულ კოლექტივებს არ მიუღიათ მონაწილეობა სარაიონო და საქალაქო სპარტაკიადებში, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის და სპორტსმენთა სპორტტექნიკური მაჩვენებლების ამაღლებისათვის.

„განთიადი", „ბურევესტნიკი", „ლოკომოტივი" ჯერ კიდევ სუსტ კონტროლს უწევენ მწვრთნელთა მუშაობას, ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენენ იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც არაკეთილსინდისიერად მუშაობენ, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სპორტსმენთა და მწვრთნელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საჭირო დონეზე დაყენების საქმეს და ა. შ.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს ა. წ. 11 აგვისტოს დადგენილების — „სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების შესახებ" საფუძველზე უნდა შევიმუშაოთ მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ სპორტსმენთა შორის უდისციპლინობის, უხეშობის, ყოყოჩობისა და სხვა უარყოფითი გამოვლინების ფაქტებს, რომლებიც უცხოა საბჭოთა სპორტისათვის. „განთიადის", „ბურევესტნიკისა" და „ლოკომოტივის" რესპუბლიკურმა საბჭოებმა საჭიროა უმოკლეს ვადაში გადასინჯონ მწვრთნელთა შემადგენლობა და სამუშაოზე დატოვონ მხოლოდ ისინი, ვისაც უნარი შესწევს ნამდვილად იყოს მასწავლებელი და აღმზრდელი. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ზოგიერთ მწვრთნელთა შორის ფეხმოკიდებულ მრავალშეთავსებიან პრაქტიკას, რაც ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მომზადებისა და აღზრდის საქმეს სერიოზულ ზიანს აყენებს. ამასთან, უნდა დაკანონდეს ის ამბავი, რომ მწვრთნელები და ინსტრუქტორები პასუხისმგებელნი არიან არა მარტო ფიზკულტურელთა სპორტულ დაოსტატებაზე, არამედ მათს მაღალ მორალურ თვისებებზეც.

პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კოლექტივებმა, ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებმა უნდა შეძლონ სპორტულ სექციებში მუშამოსამსახურეთა ფართო ფენების ჩაბმა, სპორტსაზოგადოებებში მათი გაწევრიანება და სპორტული მუშაობის უკეთ მოწყობისათვის მატერიალური ბაზის განმტკიცება და სხვ.

რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებთან და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა გააძლიერონ მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა კავშირის ხალხთა და საქართველოს მომავალი სპარტაკიადების შესახვედრად. ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ფიზკულტურული მუშაობის საფუძველი ძირეული კოლექტივია და რომ მომავალი წლის ხალხთა სპარტაკიადაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას საწარმოთა გუნდები. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასწავლო და საწვრთნელი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას ფიზკულტურულ კოლექტივებში. განსაკუთრებით ბევრი უნდა ვიმუშაოთ ძალოსნობის, ცურვის, ველოსპორტის, ტანვარჯიშის, მძლეოსნობისა და სპორტის სხვა სახეობათა განვითარებისათვის. უნდა უზრუნველვყოთ კვალიფიციური სპორტსმენების მომზადება, მათი სისტემატური წვრთნა.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა და ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ამოცანაა ახლებურად მოაწყონ მუშაობა — უკეთ წარმართონ მშრომელთა ფართო მასების ფიზიკური აღზრდის საქმე, ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ჩააბან პროფკავშირების წევრთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა, უფრო ნაყოფიერად წარმართონ სექციების მუშაობა და სხვ.

საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციებში მშრომელთა ფიზიკურად გაკაჟების საქმის მაღალ დონეზე დაყენება, პროფკავშირულ სპორტსმენთა სპორტული ოსტატობის განუხრელი ზრდა, რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბის სპორტულ ღონისძიებებში წარმატებით გამოსვლა ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მძლავრ აღმავლობას, საქართველოს სპორტული დელეგაციის საპატიო ადგილზე გამოსვლას საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაში.

## თითქოს ყველაფერი რიგზეა...

ქუთაისში, სტალინის ქუჩაზე, თეთრი ხიდის მახლობლად, წლების მანძილზე არსებობს ფართო და ნათელი საჭიდაო დარბაზი, სადაც სისტემატურად ტარდება მოჭიდავეთა საწვრთნელი ვარჯიშები.

ერთი შეხედვით, თითქოს აქ ყველაფერი რიგზეა. მაგრამ სავალალო ის არის, რომ მოჭიდავეებს ნორმალური წვრთნისათვის სათანადო პირობები არ გააჩნიათ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.

საჭიდაო დარბაზის ფანჯრის მინები ჩამტვრეულია, დღემდე შეძენილი არ არის თუნუქის ღუმელები, საშხაპე ონკანები შეკეთებას მოითხოვს, ზოგჯერ წყალი სრულიად ცივია, ზოგჯერ კი — ძალზე ცხელი. გასახდელში არ ყოფნით ტანისამოსის შესანახი კარადები და რაც არის, ისიც კარუბჩამტვრეულია. დარბაზს არა აქვს საპირფარეშო.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ უკვე ორი თვეა არ ჰყავთ დამლაგებელი. დარბაზის იატაკი არ სუფთავდება.

მწვავედ განიცდიან სპორტული ინვენტარის, განსაკუთრებით ძალოსნური იარაღების ნაკლებობას. საჭიდაო ხალიჩებზე გადასაფარებლები დახეულია.

ზამთარი ახლოვდება. ფიზკულტურისა და სპორტის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ზომები უნდა გაატაროს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ი. უჩაძე



თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე მოწყობილი საერთაშორისო მოტორბოლის ტრასის ერთ-ერთი ყველაზე რთული უბანი — კიბეებიანი აღმართი. ამასწინათ ჩატარებულ მოტორბოლაში მონაწილე ბევრმა მოტოციკლისტმა სწორედ ამ ადგილას „მოიტეხა კისერი". სურათზე თქვენ ხედავთ, როგორ ყურადღებით ძლევენ აღმართს მოტოციკლისტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

### რიგა — თბილისი

#### ფრენბურთი

25 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე თბილისში მიმდინარეობს რიგისა და თბილისის ახალგაზრდობის მეგობრობის დეკადა. საქართველოს დედაქალაქს ეწვივნენ რიგელი სპორტსმენები: ფრენბურთელები, კალათბურთელები, მოჭადრაკეები.

ლენინის სახელობის დარბაზში გაიმართა პირველი შეხვედრები.

პირველად მოედანზე გამოვიდნენ ფრენბურთელები. რიგელთა გუნდი „დაუგავა" „ა" კლასში თამაშობს და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივად ითვლება. გასულ წელს რიგელებმა მე-5 ადგილი დაიკავეს საკავშირო პირველობაზე და პროფკავშირთა 1958 წლის სპარტაკიადაზე ჩემპიონობა მოიპოვეს. სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდა თბილისის „ბურევესტნიკი". რიგელებმა მცირე უპირატესობით (16:14) მოიგეს პირველი პარტია. მეორე პარტიაში რიგელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და იოლად მოიგეს იგი. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს მასპინძლებმა წარმატების მოპოვება — 15:8, მაგრამ მეოთხე პარტიის მოგებით სტუმრებმა მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 3:1.

#### ჭადრაკი

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო მოჭადრაკეთა შეხვედრა ხუთ დაფაზე.

პირველ დაფაზე ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი ბ. გურგენიძე და ლატვიის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ი. ზილბერი. სიცილიურ დაცვაში, რომელიც რიგელმა აირჩია, ქართველმა ოსტატმა ნაკლებად შესწავლილ გაგრძელებას მიმართა. ზილბერი გაერკვა მდგომარეობაში და გაამარტივა ბრძოლა. პარტია გადაიდო. გადაიდო აგრეთვე ა. ბლაგიძე-ი. კლიავინშისა და გ. მაჭავარიან-ი. კლოვანსის პარტიები. ლომაია დამარცხდა ა. პეტერსონთან.

ა. იზვოზჩიკოვი (თბილისი) და ოსტატობის კანდიდატი ი. ლუცკანი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გუშინ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. მაჭავარიანი თამაშის განუახლებლად დანებდა კლოვანსს, რამდენიმე სვლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ გურგენიძე და ზილბერი, ხოლო ბლაგიძე დამარცხდა კლიავინშთან.

ამრიგად, რიგისა და თბილისის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი დამთავრდა რიგელთა გამარჯვებით.

#### კალათბურთი

საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია რიგის „დაუგავას" კალათბურთელ ქალთა გუნდი. მათ წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკი".

თამაში თბილისელთა უპირატესობით დაიწყო. მათ წაიყვანეს კიდეც ანგარიში — 4:0, მაგრამ სტუმრებმა მალე გამოასწორეს მდგომარეობა და უკვე თვითონ გავიდნენ წინ — 16:10. თბილისელთა შემადგენლობაში მოხდა რამდენიმე ცვლილება. ამან გამოცოცხლება შეიტანა მათ თამაშში და სტუდენტებმა პირველი ნახევარი მოიგეს ანგარიშით 35:30. თბილისელები კარგად თამაშობდნენ მეორე ტაიმშიც. მატჩი მოგებულ იქნა მათ მიერ ანგარიშით 68:59.



◆

მძლეოსნობის ერთ-ერთი ძნელი სახეობაა რბენა დაბრკოლებებით 3000 მეტრზე. ამ სურათზე თქვენ ხედავთ რბენის მონაწილეებს, როდესაც ისინი გადიან ერთ-ერთ რთულ დაბრკოლებას — წყლის ორმოს.

◆

# მსოფლიო რეკორდი

ქალთა შორის შუბის ტყორცნის მსოფლიო რეკორდი 4 წლის განმავლობაში საბჭოთა სპორტსმენს ნ. კონიაევას ეკუთვნოდა — 55,48 მ. მიმდინარე წელს ავსტრალიელმა სპორტსმენმა ქალმა პაზდერამ, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა ა. ვოიტოშეკის გვარით პოლონეთის გუნდიდან, ზუსტად ორი მეტრით გააუმჯობესა საბჭოთა სპორტსმენის მსოფლიო რეკორდი — 57,48 მ.

ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა უკანასკნელ შეჯიბრებებზე მძლეოსნობის სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა ლიტველმა შუბის მტყორცნელმა ბირუტე ზალაგაიტიტემ. მან მიმდინარე წელს შეძლო სსრ კავშირის ჩემპიონის სახელის მოპოვება, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მძლეოსანთა მატჩზე აჩვენა საუკეთესო შედეგი — 54,24 და საპრიზო ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატში.

30 ოქტომბერს, როცა შუბის მტყორცნელი ქალები ბრძოლაში ჩაებნენ, [illegible] მოსალოდნელი იყო, [illegible] სათვის ბრძოლა გა[illegible] პიური თამაშების ჩემპიონს ლატვიელ ი. იაუნზემესა და ბ. ზალაგაიტიტეს შორის, მაგრამ მაყურებელთა მოლოდინი არ გამართლდა. ლატვიელმა მძლეოსანმა, რომელიც ოლიმპიური თამაშების შემდეგ წარუმატებლად გამოდის, შეძლო მხოლოდ 48,95 მ ჩვენება და მერვე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ ბრწყინვალედ გამოვიდა ბ. ზალაგაიტიტე, რომლის მიერ ერთ-ერთ ცდაზე ნატყორცნი შუბი 57 მეტრსა და 49 სანტიმეტრზე დაეცა. ლიტველმა სპორტსმენმა ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნები, რომლებიც ამ სახეობაში ძალზე დაბალი შედეგებით გამოვიდნენ, ჩათვლაში ვერ მოხვდნენ.



✦ ✦

სურათზე: 80 მეტრზე თარჯრბენის მონაწილე ქალები დისტანციაზე.

✦ ✦

# პიტერ ვარაკი რეკორდსმენია

დიდი ხანი არაა, რაც ესტონელი პიტერ ვარაკი გამოჩნდა მძლეოსნობის სარბიელზე, მაგრამ მან უკვე შეძლო გარკვეულ წარმატებათა მიღწევა. სსრ კავშირის განვლილ პირად ჩემპიონატში პ. ვარაკმა მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მძლეოსნობის სპეციალისტებმა მაშინვე შეამჩნიეს ახალგაზრდა, ტანადი ესტონელი, რომელსაც ტექნიკაში შეიძლება ჰქონოდა კიდეც გარკვეული ხარვეზები, მაგრამ პოტენციურად მომავალი ჩემპიონის შესაძლებლობებს მოიცავდა. ვარაკმა ხანმოკლე პერიოდში კიდევ უფრო დახვეწა თავისი ტექნიკა და ისეთ უძნელეს დისტანციაზე, როგორიცაა რბენა 800 მეტრზე, პირველობის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი გახდა.

...სტარტის შემდეგ ვარაკმა ლიდერთა ჯგუფში ვერ დაიკავა მაინცდამაინც ხელსაყრელი ადგილი, ამიტომ მან ბოლოში ყოფნა არჩია, სანამ მონაწილეები ერთ მწკრივად განლაგდებოდნენ. ამის შემდეგ ესტონელს უკვე ჰქონდა საშუალება გადაესწრო მოწინააღმდეგეთათვის იქ სადაც საჭიროდ მიიჩნევდა ამას.

პირველი 400 მეტრი ლიდერმა, მოსკოვის პირველი გუნდის წარმომადგენელმა ა. ოსმინკინმა 54,0 წამში განვლო. 600 მეტრის შემდეგ ესტონელმა მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო 700 მეტრის შემდეგ კიდევ წინ გადაიწია. მძლეოსნებს გასავლელი დარჩათ მხოლოდ 100 მეტრი — უკანასკნელი სწორი. აი, აქ ამუშავდა მთელი ძალით ესტონელის „მანქანა“ და სპორტსმენმა პირველ ადგილზე გადაინაცვლა. უაღრესად ძლიერმა ფინიშმა ესტონელ მძლეოსანს დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა. მან ზედ ფინიშთან საგრძნობლად გაუსწრო ორ მთავარ მეტოქეს—მოსკოველ ა. ოსმინკინსა და რსფსრ-ს პირველი გუნდის წარმომადგენელს ს. სუხანოვს. ესტონელის შედეგი 1.50,5 ამავე დროს ახალი რესპუბლიკური რეკორდია. მეორე ადგილი დაძაბულ ბრძოლაში წილად ხვდა ს. სუხანოვს — 1.51,0, ხოლო მესამე — ა. ოსმინკინს — 1.51,2.

საქართველოს გუნდიდან ამ სახეობაში მონაწილეობდნენ ივანოვი და თვაური. მათ წინასწარ გარბენში ვერ აჩვენეს პირველი თანრიგის შედეგი და ვერ მოხვდნენ ჩათვლაში.

✦

# ორი თარჯრბენი — ორი მაჩვენებელი

ვაჟთა თარჯრბენში 400 მეტრზე ჩვენი რესპუბლიკიდან გამოდიოდნენ პ. ნაგორნი და ლ. ნიკოგოსოვი. საკლასიფიკაციო შეჯიბრებაში პირველმა აჩვენა 59,3, ხოლო მეორემ — 1.01,1. რას ნიშნავს ეს შედეგები? პირველ რიგში იმას, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა წინასწარ გარბენში მონაწილეობის უფლება. ჩვენი რესპუბლიკის თარჯმრბენლებმა არა თუ პირველი, მეორე თანრიგის ნორმატივიც კი ვერ შეასრულეს. სულ, შეჯიბრებაში მონაწილე 28 სპორტსმენიდან, ნაგორნიმ აჩვენა 24-ე შედეგი, ხოლო ნიკოგოსოვმა — უკანასკნელი, 28-ე. ამ სახეობაში პირველი სამი ადგილი შემდეგნაირად განაწილდა: პ. სედოვი (რსფსრ) — 53,0, ზ. იუშკო (უკრაინა) — 53,4, ე. არაქელიანი (მოსკოვი) — 53,8.

უკეთესად გამოვიდნენ თარჯრბენში ჩვენი რესპუბლიკის ქალები. საკლასიფიკაციო შეჯიბრებაში მ. ქოჩლაძემ აჩვენა 11,4, ხოლო ჯ. ოდილავაძემ — 11,7 წამი. პირველმა გუნდს მისცა 979, მეორემ — 933 ქულა. ქოჩლაძემ მოიპოვა ნახევარფინალში ბრძოლის უფლება და შეიძლება მას შედეგი გაეუმჯობესებინა კიდეც, მარცხი რომ არ მოსვლოდა გარბენში. მე-7 თარჯზე ქოჩლაძემ მოულოდნელად წაიბორძიკა და წაიქცა, რის შემდეგ გამოეთიშა შეჯიბრებას. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს გ. ბისტროვამ (რსფსრ), რ. კოშელევამ (რსფსრ), ნ. ვინოგრადოვამ (ლენინგრადი), გ. ვოლკოვამ (ლენინგრადი), ვ. მასლოვსკაიამ (მოლდავეთი), ძ. ტრალემ (ლატვია). პირველი ადგილი კარგ სტილში მოიგო გ. ბისტროვამ — 10,8. მეორე და მესამე ადგილებზე ერთნაირი შედეგით — 11,1 გამოვიდნენ რ. კოშელევა და ნ. ვინოგრადოვა. სულ თარჯრბენში 80 მეტრზე ნაჩვენები იქნა სპორტის ოსტატის 7 და პირველი თანრიგის 16 შედეგი.

მას შემდეგ, რაც ვაჟთა სპრინტი 100 მეტრზე დამაჯერებლად მოიგო ახალგაზრდა ლენინგრადელმა მძლეოსანმა ე. ოზოლინმა, ყველას აინტერესებდა შეძლებდნენ თუ არა ვეტერანები და პირველ რიგში მათი მთავარი ფავორიტი ი. კონოვალოვი (აზერბაიჯანი) რევანშის აღებას მეორე სპრინტერულ დისტანციაზე — 200 მეტრზე. ფინალური გარბენის პირველ მეტრებზე ძნელი იყო რაიმე გარკვეულის თქმა. ოზოლინი და კონოვალოვი მხარდამხარ უახლოვდებოდნენ ფინიშს, მაგრამ უკანასკნელ მეტრებზე კონოვალოვმა შეძლო დაწინაურება. მან ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა — 21,6. ოზოლინი გამარჯვებულს ჩამორჩა 0,1 წამით. ფინალში მესამე ადგილი დაიკავა უკრაინელმა ვ. არხიპჩუკმა — 21,9, ხოლო მეოთხე — საქართველოს წარმომადგენელმა ნ. კლიუევმა — 22,0.

✦

# შეცვლილ როლებში...

შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში სპორტსმენებისათვის წარმოადგენს ხტომათა მთელ სერიას (საკვალიფიკაციო, წინასწარი, ფინალი), სადაც წმიდა მხტომელობითი თვისებებისა და ტექნიკის გარდა მძლეოსანს უნდა გააჩნდეს მაღალი ფიზიკური და მორალური მომზადება, გამძლეობა.

ვერც ერთი ამ თვისებათაგანი ვერ გამოავლინეს საქართველოს გუნდის წევრებმა რ. ქვაჩახიძემ, ა. ბედუკაძემ და ვ. ჩხეიძემ, რომლებიც პროგრამის ამ სახეობაში ღებულობდნენ მონაწილეობას. 7-მეტრიანი ზღვარი მათთვის ამჯერად მიუწვდომელი აღმოჩნდა და ჩვენმა გუნდმა საბოლოოდ 0 მიიღო სიგრძეზე ხტომაში. საკლასიფიკაციო ხტომებში ქვაჩახიძემ აჩვენა 6,89 მეტრი, ბედუკაძე მას ჩამორჩა 1 სანტიმეტრით, ხოლო ჩხეიძე მხოლოდ 6 მეტრსა და 80 სანტიმეტრზე გადახტა.

მაგრამ მაღალი სტაბილური შედეგები არა ჰქონდათ ფინალისტებსაც. მაგალითად, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს მხტომელს ო. ფედოსეევს (მოსკოვი) საკვალიფიკაციო ნაწილში ჰქონდა შედეგი 7 მ 04 სმ, ხოლო წინასწარ ხტომებში... 5 მ 94 სმ (?).

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ადგილზე გამოვიდა უკრაინის გუნდის წევრი ი. ტეროვანესიანი, რომლის საუკეთესო ნახტომი 7 მეტრსა და 74 სანტიმეტრს უდრიდა. მეორე ადგილზეა დ. ბონდარენკო (ლენინგრადი) — 7 მ 64 სმ.

შეცვლილ როლებში მოგვევლინენ ვ. სიტკინი (უკრაინა) და ო. რიახოვსკი (უზბეკეთი). პირველი მათგანი ცნობილია, როგორც სიმაღლეზე მხტომელი, ხოლო მეორე მსოფლიო რეკორდის მფლობელია სამხტომში. მათ დაიკავეს მესამე და მეოთხე ადგილები შესაბამისი შედეგებით 7,58 სმ და 7,38 სმ.

✦

# მედლები ესტაფეტასა და თარჯრბენში

ვაჟთა ესტაფეტის (4×100) ფინალში გამოდიოდნენ უზბეკეთის, საქართველოს, მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ლენინგრადის კოლექტივები. სტარტიდანვე ლიდერობა ხელთ იგდეს უკრაინელმა მძლეოსნებმა, რომლებიც წინ იყვნენ ყველა ეტაპზე და ფინიშთანაც პირველები მივიდნენ. გამარჯვებულმა გუნდმა აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 40,5. ლენინგრადისა და მოსკოვის მძლეოსნებს ცალკეულ ეტაპებზე არ ჰქონდათ უკრაინელებზე ნაკლები სისწრაფე, მაგრამ ჩამორჩებოდნენ მათ ამანათის გადაცემის ტექნიკაში. ეს კი ესტაფეტაში მთავარი და გადამწყვეტია. სწორედ ამ ნაკლის გამო აჩვენეს ლენინგრადელებმა 41,0 და მოსკოველებმა — 41,1.

საქართველოს და რუსეთის ფედერაციის გუნდებმა დისტანცია ერთნაირ დროში დაფარეს (41,4). თავისთავად ეს მაჩვენებელი არ არის ცუდი, მაგრამ სპეციალისტების აზრით საქართველოს მძლეოსნებს უკეთესი შედეგის ჩვენება შეეძლოთ, რომ ყველაფერი რიგზე ჰქონოდათ მათ ამანათის გადაცემაში. ფინალში უზბეკეთის გუნდი უკანასკნელი იყო — 42,3.

ბრწყინვალედ დაფარეს ქალთა ესტაფეტის დისტანცია რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა და შედეგიც მაღალი აჩვენეს — 45,9. მათ გადაეცათ ოქროს მედლები. ვერცხლის მედლები დაიმსახურეს უკრაინის სპორტსმენებმა (46,4), ხოლო ბრინჯაოსი—ლენინგრადის გუნდმა — 47,2.

უკანასკნელი სახეობა, სადაც თამაშდებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება, იყო თარჯრბენი 200 მეტრზე. ნახევარფინალების შემდეგ გადამწყვეტ გარბენში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: მოსკოველმა ი. პეტროვმა (შედეგით 24,1), ლენინგრადელებმა ა. კლენინმა (23,6) და ა. მიხაილოვმა (24,2), რსფსრ-ს წარმომადგენლებმა მ. ხუდოლეიმ (24,2) და პ. სედოვმა (23,9), თბილისელმა რ. ტრაპაიძემ (24,3).

ფინალში მხოლოდ სამმა სპორტსმენმა გააუმჯობესა შედეგი. პეტროვმა და მიხაილოვმა აჩვენეს ერთნაირი დრო—23,5, მაგრამ ვინაიდან მეორე ფინიშთან მკერდით უკან აღმოჩნდა, ოქროს მედალი პეტროვს გადაეცა. მართალია, ხუდოლეიმ ფინალში 0,2 წამით ნაკლები დრო მოანდომა დისტანციის დაფარვას, ეს საკმარისი არ გამოდგა მესამე ადგილზე გასასვლელად. ბრინჯაოს მედალი კლენინმა დაიმსახურა. საქართველოს წარმომადგენელი ტრაპაიძე ფინალში მეექვსე იყო.

✦

# 4 მეტრი — მაქსიმუმი

გუნდისათვის ჩასათვლელი ქულების მისაღებად ჭოკით ხტომაში დაწესებული იყო ნორმა — 4 მეტრი. 42 მონაწილიდან თავიანთ გუნდებს 0 მოუტანა 17-მა სპორტსმენმა, მათ შორის ორნი ჩვენი რესპუბლიკიდან იყვნენ: ე. პიპინოვი და ი. შუქუროვი. პირველმა აიღო 3,80 მეტრი, ხოლო მეორემ — მხოლოდ 3,70 მეტრი. მარტო ვ. ვენცკევიჩმა შეძლო 4 მეტრის აღება და ჩასათვლელი ნორმის შესრულება.

ერთი სიტყვით, 4 მეტრი საქართველოს მძლეოსანთათვის მაქსიმუმს წარმოადგენდა ამ შეჯიბრებაზე და ეს ფაქტი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული. 4 მეტრი არც ისე ძნელი ზღვარია, რომ იგი ჩვენი მძლეოსნებისათვის რაღაც დაუძლეველ ციფრს წარმოადგენდეს.

გამარჯვებულთა შორის ბრძოლა წარმოებდა „სტადიონის დონიდან“ 4,40 მეტრის სიმაღლეზე. მისი აღება შეძლეს ნ. ზანცინსკიმ (ლენინგრადი) და ვ. ბულატოვმა (ბელორუსია). ამ ორ მხტომელს შორის ცდათა რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი მიეკუთვნა ზანცინსკის.

**გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა**

ლელო



სურათებზე: მარჯვნივ ზევით — კროსის მთავარი მსაჯი გ. ნადირაშვილი სიგელებს გადასცემს ორ კილომეტრზე კროსში გამარჯვებულებს. მარცხნიდან — ს. ნარმანია, მ. აფაქიძე და მ. ტვილდიანი. ქვევით — კროსის სტარტზე.

ფოტო ვ. სიმონოვისა.

# რესპუბლიკური კროსი

ზუგდიდში დამთავრდა პირად-გუნდური შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე საშემოდგომო მძლეოსნურ კროსში, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, ბორჯომის, სოხუმისა და სხვა რაიონების 180 სპორტსმენი.

კროსის პროგრამაში იყო რბენა 500 მეტრზე გოგონებისათვის, 1.000 მ—ჭაბუკებისათვის, 2.000 მ — ქალთათვის და 8.000 მ — ვაჟთათვის.

გოგონათა შორის რბენას სათავეში ჩაუდგნენ თბილისელი სპორტსმენები და პირადი შედეგებისათვის ბრძოლაც მათ შორის წარიმართა. ფინიშთან ერთდროულად იყვნენ ლ. ზგურსკაია და ლ. აბლიაზოვა. ორივეს დრო 1 წუთი და 25,5 წამია. მესამე ადგილზე გამოვიდა ლ. ბელიაევა.

ჭაბუკთა შორის საუკეთესო დრო აჩვენა ქუთაისელმა ვ. მიაგკიმ — 2 წუთი და 38,8 წამი. მეორე შედეგი აქვს თბილისელ გ. ნოგას — 2.39,4.

საინტერესოდ წარიმართა რბენა ქალთა შორის 2 კილომეტრზე. სტარტიდან დაწინაურდა ლენტეხის რაიონის სოფელ ლესემის საშუალო სკოლის მოსწავლე მ. აფაქიძე. როდესაც ფინიშამდე დარჩა ორასამდე მეტრი, თბილისელმა ს. ნარმანიამ მძლავრი ბიძგით სცადა მისი გადასწრება, მაგრამ ამაოდ. მ. აფაქიძემ მრავალრიცხოვან მაყურებელთა ტაშის გრიალში პირველმა დაამთავრა დისტანცია შედეგით — 7 წუთი და 09,9 წამი. მეორე ადგილზე გა[illegible] ს. ნ[illegible] [illegible] იყო ისევე ლენტეხელი სპორტსმენი მ. ტვილდიანი.

ვაჟთა შორის ადვილად გაიმარჯვა თბილისელმა დ. ბორტიუკმა, რომელმაც აჩვენა კარგი შედეგი — 25 წუთი და 31 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი მ. ჭინჭარაული, ხოლო მესამეზე — ზუგდიდელი ვ. ფომინი.

გუნდური პირველობა მოიპოვა თბილისის პირველმა გუნდმა.

ვ. სემიონოვი,
ა. სახეიშვილი.

# სპორტული ქრონიკა

**სამტრედია.** დამთავრდა სარაიონო პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 10 გუნდი.

პირველი ადგილი დაიკავეს დაბლა გომის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა. კონკურსგარეშე უძლიერესი იყო დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის გუნდი.

ა. კუმუხიძე

**გორი.** 3 ჯგუფად ჩატარდა გორის საქალაქო პირველობა ფეხბურთში.

პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს დინამოელებმა, მეორე ჯგუფში — „განთიადის" II გუნდმა, ხოლო მესამე ჯგუფში — მე-5 საშუალო სკოლის ფეხბურთელებმა.

გ. გოზალოვი

**აბაშა.** კულტურის სახლში მოეწყო ლექცია თემაზე: „მსოფლიო პირველობა ფეხბურთში", რომელიც წაიკითხა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ.

ლექციის გარდა მაყურებლებმა ნახეს ამავე სახელწოდების დოკუმენტური ფილმი.

გ. გვაზავა

**ზესტაფონი.** გაზეთ „ლენინელის" გარდამავალი თასი კალათბურთში მოიპოვა ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა. ტურნირში მონაწილეობდა ცხრა გუნდი.

ს. ტალახაძე

**ონი.** მოეწყო საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება მძლეოსნობაში პიონერთა შორის. პირველი ადგილი დაისაკუთრა ონის საშუალო სკოლის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ შეუბნის შვიდწლიანი სკოლის პიონერები.

დ. მერიშვილი

**თბილისი.** ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს დარბაზში ჩატარდა ქალაქის პირად-გუნდური პირველობის მეორე ტური კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „განთიადის" მოჭიდავეებმა. ჩემპიონები გახდნენ: დ. ძნელაძე, ო. ეგაძე, დ. გვანცელაძე („განთიადი"), გ. მანასიანი, დ. ქარუმიძე („სპარტაკი"), ქ. აბესაძე („ლოკომოტივი"), ა. სიხარულიძე („მრ. რეზერვები") და დ. კარიჭაშვილი („ბურევესტნიკი").

ნ. ძუძიძე



# სკოლის მოედანზე

დილიდანვე ფუსფუსებდნენ სკოლის ეზოში მოსწავლეები. ეზო საგულდაგულოდ დაასუფთავეს, საზეიმოდ მორთეს. დღის სამი საათისათვის თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის 103-ე საშუალო სკოლამ ფართოდ გაუღო კარი მეზობელ სკოლების წარმომადგენლებს, მოსწავლეთა მშობლებს და რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. სახელოვანი კომკავშირის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობას უნდა მიეღო ძვირფასი საჩუქარი — კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი.

მოედნის ირგვლივ განლაგებულმა სკამებმა ტრიბუნის მაგივრობა იკისრეს და სტუმარ-მასპინძლები გარს შემოერტყნენ მოედანს. გაისმა მარშის ხმა და მოედანზე მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ სკოლის ფიზკულტურელები.

სკოლის დირექტორმა გ. შანიძემ მოკლედ, მაგრამ მხურვალედ მოულოცა სკოლის კომკავშირელებს სახელოვანი იუბილე და ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად ჩააბარა მათ საუცხოო საჩუქარი — კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი.

სწავლის წარჩინებულებმა და სკოლის საუკეთესო სპორტსმენებმა აღმართეს ალამი, შემდეგ გოგონებმა და ვაჟებმა სკოლის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებლის ამხ. მაღლაფერიძის ხელმძღვანელობით შეასრულეს მასობრივი თავისუფალი ვარჯიში.

დაიწყო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში. სკოლის ნაკრებ გუნდს ეწვივნენ რაიონის ჩემპიონები 98-ე სკოლის კალათბურთელები. მასპინძლებმა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა გუნდის სული და გული სუგანოვი, ძლიერ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 36:43.

ა. ბარნოვი

# საზღვარგარეთ

## ანჯელილო — პირველ ადგილზე

გაზეთი „უნიტა" აწარმოებს იტალიის ჩემპიონატის ყველაზე უფრო შედეგიანი ფეხბურთელების ე. წ. „კანონირების" აღრიცხვას. გასულ წელს „კანონირებს" შორის პირველ ადგილზე იყო ცნობილი შვედი ფეხბურთელი, „იუვენტუსის" მარჯვენა გარემარბი კ. ჰამრინი, მთელს იტალიაში არ აღმოჩნდა ისეთი მარცხენა მცველი, რომელსაც შეძლებოდა ბრძოლა ამ თავდამსხმელთან.

წელს ჰამრინი, რომელიც „ფიორენტინაში" გადაბარგდა, არ უჩვენებს მაინცდამაინც კარგ შედეგს. „კანონირების" ცხრილს სათავეში მოექცა „ინტერნასიონალეს" ცენტრალური თავდამსხმელი ანტონიო ანჯელილო. გასულ წელს არგენტინიდან დიდი დავიდარაბის შემდეგ იტალიაში გადაყვანილმა ანჯელილომ პირველად იმედი გაუცრუა „ინტერნასიონალეს" მეპატრონეს, მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატში 22 წლის არგენტინელმა 4 მატჩში უკვე გაიტანა 11 ბურთი.

★

## ექვსი გოლის თანაავტორი

ამას წინათ მადრიდში ესპანეთის ნაკრებმა დიდი ანგარიშით (6:2) მოუგო ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს. როგორც ყოველთვის, მაღალი ოსტატობით ჩაატარა მატჩი ესპანელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ა. დი სტეფანომ („რეალი", მადრიდი). იგი იყო საუცხოო დირიჟორი მოედანზე და თუმცა თვით არც ერთი კომბინაცია გოლით არ დაუმთავრებია, მაგრამ ექვსივე ბურთი გატანილი იქნა მისი მიწოდებიდან.

★

## ყოველი მხრიდან

⊙ **ბერლინი.** ქალაქის დასავლეთ სექტორში გაიმართა პროფესიონალ ველოსიპედისტთა შეჯიბრება 100-კილომეტრიან დისტანციაზე. გაიმარჯვა ო. ალტვეგმა (გფრ), რომელმაც აჩვენა 2:29.55,0.

⊙ **ლონდონი.** აქ დამთავრდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ტურნირი. ფინალში „უიმბლდონის" ექსჩემპიონმა ფ. სედჟმანმა (ავსტრალია) დაამარცხა ჯ. ტრებერტი (აშშ) — 6:4, 6:3, 6:4.

⊙ **ბუდაპეშტი.** უნგრეთისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ხელბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 16:16.

⊙ **შვაინფურტი.** გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და იტალიის მძლეოსან ქალთა სამატჩო შეხვედრაში გაიმარჯვეს გერმანელებმა — 74:30. აღსანიშნავია, რომ მათ პროგრამის ყველა სახეობაში დაიკავეს პირველი ადგილები.

⊙ **გარმიშ-პარტენკირხენი.** საქართველოში ჩამოსვლამდე ჩეხოსლოვაკიის მოტოციკლისტთა გუნდმა აქ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო მოტორბოლაში. ჩეხებმა პირველი ადგილები დაიკავეს ორ კუბატურაში. მეორე ადგილზე გამოვიდნენ იტალიელი მოტოციკლისტები.

⊙ **ვარშავა.** მოეწყო ინგლისის და პოლონეთის მოტოციკლისტთა ამხანაგური შეხვედრა. ინგლისელებმა მოიგეს მატჩი დიდი უპირატესობით — 81:27.

⊙ **მიუნხენი.** ცნობილმა გერმანელმა მოტოციკლისტმა ჰერცმა „ნსუ"-ს ტიპის მოტოციკლზე (350 კბ სმ კლასი) 1-კილომეტრიანი დისტანცია დაფარა საშუალოდ 307,233 კილომეტრის სისწრაფით საათში.

⊙ **კრეფელდი.** გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და ბელგიის ველოსიპედისტთა შეხვედრაში გაიმარჯვეს პირველებმა — 7:5.

⊙ **ლონდონი.** მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა ბრაიან ლონდონსა (ინგლისი) და ვილი პასტრანოს (აშშ) მატჩი მოიგო ინგლისელმა მე-5 რაუნდში.

⊙ **ბუქარესტი.** რუმინეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების მატჩი კრივში დამთავრდა ანგარიშით 18:12 იუგოსლაველთა სასარგებლოდ.

⊙ **რომი.** მსოფლიოს ჩემპიონმა ველოსპორტში იტალიელმა ბალდინიმ ამას წინათ მოიგო თავისი ქვეყნის პირველობა საგზატკეცილო რბოლაში. მან 99,750 კმ გაიარა 2:17.04,0 საათში (საშუალოდ 43,511 კმ საათში). ბალდინიმ უკან ჩამოიტოვა განთქმული ველოსიპედისტები მოზერ დე ფილიპო, ფაუსტო კოპი და სხვები.

★

## ტონი ზაილერი — პროფესიონალი

**ციურიხი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კანცლერმა ო. მაიერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ცნობილი ავსტრიელი სამთო-მოთხილამურე, სამი ოლიმპიური ოქროს მედალის მფლობელი ტონი ზაილერი ჩარიცხულ იქნა პროფესიონალებში.

★

## ქვემეხთა გრიალის ქვეშ

1896 წლის 10 აპრილს პირველ ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის ისტორიაში პირველად სტარტი მიეცა მარათონულ რბენას. ათეულ ათასობით მაყურებელი მოუთმენლად ელოდა პირველი მარათონელის გამოჩენას. ცხენოსნები და ველოსიპედისტები ეტაპიდან ეტაპზე ამანათის მსგავსად გადასცემდნენ ცნობას შეჯიბრების მსვლელობის შესახებ. ვინ გაიმარჯვებს? ვინ მოუტანს თავის ქვეყანას საპატიო სახელს? ეს აღელვებდა ყველას და ერთმა ამერიკელმა მილიონერმა ქალმა ისიც განაცხადა, რომ იგი ცოლად გაჰყვებოდა გამარჯვებულს.

ქვემეხების გრიალის ქვეშ სტადიონზე შემოირბინა გამარჯვებულმა. ეს იყო ბერძენი ფოსტალიონი სპირიდონ ლუისი. მაყურებლები აღტაცების ნიშნად ჰაერში ისროდნენ ყვავილებსა და ქუდებს. მსაჯები ფეხდაფეხ მიჰყვნენ მორბენალს და მასთან ერთად დაამთავრეს დისტანცია. ორმა უფლისწულმა სპირიდონ ლუისი სამეფო ლოჟასთან მიიყვანა, სადაც რომელიღაც მანდილოსანმა გამარჯვებული ბრილიანტებით მორთული საათით დააჯილდოვა, ხოლო საუკეთესო სასტუმროს პატრონმა ხელწერილი მისცა, რომ ლუისისათვის ათი წლის მანძილზე უფასოდ ეძლიათ საჭმელი — ქვითარი 3650 სადილზე.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07207